

პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია  
ნიფუროქსაზიდი  
(NIFUROXAZID)



შემადგენლობა

აქტიური ნივთიერება: ნიფუროქსაზიდი;

5მლ სუსპენზია შეიცავს 200მგ ნიფუროქსაზიდს;

დამხმარე ნივთიერებები: საქაროზა, კარბომერი, ლიმონმჟავას მონოჰიდრატი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, მეთილპარაბენი (E 218), არომატიზატორი „ბანანი“ (შეიცავს პროპილენგლიკოლს), ეთანოლი 96%, გასუფთავებული წყალი. ეთანოლის შემცველობა 1მლ სუსპენზიაში შეადგენს 2%.

წამლის ფორმა: ორალური სუსპენზია.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: ანტიდიარეული პრეპარატი; ნაწლავების ინფექციურ-ანთებითი დაავადებების დროს გამოსაყენებელი პრეპარატები. ნიფუროქსაზიდი. ATC A07A X03

კლინიკური დახასიათება

ჩვენება: ინფექციური გენეზის მწვავე დიარეა ბავშვებსა და მოზრდილებში. ქრონიკული კოლიტი, ინფექციური წარმოშობის ენტეროკოლიტი; ნაწლავური დისბაქტერიოზის კომპლექსური მკურნალობა.

უკუჩვენება

-პრეპარატში შემავალი ნებისმიერი კომპონენტის მიმართ მომატებული მგრძობიანობა, მათ შორის 5-ნიტროფურანის სხვა წარმოებულების მიმართ.

-შაქრიანი დიაბეტი

-1 თვემდე ბავშვთა ასაკი

მიღების წესი და დოზირების რეჟიმი: ნიფუროქსაზიდი მიიღება შიგნით, საკვებისგან დამოუკიდებლად, დროის თანაბარი ინტერვალებით.

გამოყენების წინ სუსპენზია შეანჯღრეთ. დოზირებისთვის გამოიყენეთ კოვზი-დოზატორი (მოცულობა 5მლ), 2,5მლ დანაყოფით, რომელიც მოთავსებულია შეფუთვაში.

ბავშვები 1-დან 6 თვემდე: 2.5 მლ სუსპენზია 2-3-ჯერ დღეში;

ბავშვები 7 თვიდან 2 წლამდე: 2.5 მლ სუსპენზია 4-ჯერ დღეში;

ბავშვები 3-დან 7 წლამდე: 5 მლ სუსპენზია 3-ჯერ დღეში;

ბავშვები 7 წელზე მეტი ასაკის და მოზრდილები: 5 მლ სუსპენზია 4-ჯერ დღეში;

მკურნალობის კურსი შეადგენს 5-7 დღეს. ხანგრძლივობა არ უნდა აჭარბებდეს 7 დღეს.

გვერდითი მოვლენები: იშვიათად - ტკივილი მუცლის არეში, გულისრევა, დიარეის გაძლიერება. ეს მოვლენები არ მოითხოვს მკურნალობის შეწყვეტას. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია პრეპარატის მიმართ ინდივიდუალური ჰიპერმგრძობელობა (ქოშინი, გამონაყარი კანზე, ქავილი), რომელიც მოითხოვს პრეპარატის შეწყვეტას და სიმპტომურ მკურნალობას.

ჭარბი დოზირება: დოზის გადაჭარბების შემთხვევები აღწერილი არ არის. ჭარბი დოზირების შემთხვევაში საჭიროა კუჭის ამორეცხვა და სიმპტომური მკურნალობა.

გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში: პრეპარატის უარყოფითი გავლენის შესახებ ორსულობასა და ლაქტაციის პერიოდზე მონაცემები არ არსებობს, მაგრამ შეძლებისდაგვარად, საჭიროა მისი მიღებისაგან თავის შეკავება. აუცილებლობის შემთხვევაში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ შეიძლება დაენიშნოთ ქალებს ლაქტაციის პერიოდში.

ბავშვები: არ ინიშნება 1 თვემდე ასაკის ბავშვებში.

განსაკუთრებული მითითებები გამოყენების დროს: მწვავე დიარეის მკურნალობისას საჭიროა ჩატარდეს რეჰიდრატაციული თერაპია (პერორალური ან პარენტერალური, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე). სეფსისით გამწვავებული დიარეის მკურნალობისას არ შემოიფარგლოთ მხოლოდ ნიფუროქსაზიდით, ვინაიდან პრეპარატი არ შეიწოვება ნაწლავიდან და შესაბამისად, არ აღწევს სისხლში. ნიფუროქსაზიდით მკურნალობისას უკუნაჩვენებია ალკოჰოლის მიღება (შესაძლებელია დისულფირამის მსგავსი რეაქციის განვითარება (კანის ჰიპერემია, სიცხის შეგრძნება, შუილი ყურებში, გაძნელებული სუნთქვა, ტაქიკარდია, შიშის შეგრძნება)). ნიფუროქსაზიდი შეიცავს შაქარს, რაც გასათვალისწინებელია პრეპარატის დანიშვნის დროს დიაბეტით დაავადებული პაციენტისათვის. სუსპენზიის ჩვილ ბავშვებში დანიშვნისას საჭიროა გამოირიცხოთ ფერმენტების დეფიციტი, რომლებიც შლის საქაროზას.

ავტომობილისა და სხვა მექანიზმების მართვის უნარზე გავლენას არ ახდენს.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება და სხვა სახის ურთიერთქმედება: რეკომენდებული არ არის ნიფუროქსაზიდის გამოყენება სორბენტებთან და ასევე, ეთანოლის შემცველ პრეპარატებთან ერთად.

ფარმაკოლოგიური თვისებები: ფარმაკოდინამიკა. ნიფუროქსაზიდი არის ნაწლავური ანტიბიოტიკი, 5-ნიტროფურანის წარმოებული; აქტიურია ნაწლავური ინფექციების გამომწვევების უმეტესობის მიმართ (მათ შორის სხვა ანტიმიკრობული სხვა საშუალებების მიმართ მდგრადი შტამი-მუტანტების): გრამდადებითი (ჯგუფი Staphylococcus) და გრამუარყოფითი (ჯგუფი Enterobacteriaceae: Escherichia, Citrobacter, Enterobacter, Klebsiella, Salmonella, Shigella, Proteus, Yersinia), ასევე Vibrio cholerae. არ





არის აქტიური Pseudomonas და Proteus (სახეობა Proteus inconstans), ასევე Providentia alcalifaciens სახეობის A ქვეჯგუფის მიმართ.

შესაძლებელია, პათოგენურ ბაქტერიებში პრეპარატი თრგუნავს და არღვევს ცილების სინთეზს. საშუალო თერაპიულ დოზებში გააჩნია ბაქტერიოსტატიკური აქტივობა, ხოლო უფრო მაღალ დოზებში - მოქმედებს ბაქტერიოციდულად. ეფექტი ვლინდება მიღებიდან პირველივე საათებში. თერაპიულ დოზებში პრაქტიკულად არ ცვლის ნაწლავის მიკროფლორის თანაფარდობას. არ იწვევს პათოგენური მიკროორგანიზმების რეზისტენტული შტამების და სხვა ანტიმიკრობული საშუალებების მიმართ ჯვარედინი მდგრადობის განვითარებას, რაც საშუალებას იძლევა, აუცილებლობის შემთხვევაში, გენერალიზებული ინფექციების დროს, დაინიშნოს იგი სისტემურ პრეპარატებთან ერთად კომპლექსურ თერაპიაში. ვირუსული გენეზის ნაწლავური ინფექციების დროს იცავს ბაქტერიული სუპერინფექციის განვითარებისაგან.

ფარმაკოკინეტიკა. პერორალური მიღებისას პრაქტიკულად არ შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, შესაბამისად ქმნის ნაწლავში აქტიური ნივთიერების მაღალ კონცენტრაციას. ასეთი ფარმაკოკინეტიკური თავისებურების გამო პრეპარატს გააჩნია მხოლოდ ენტერალური ანტისეპტიკური მოქმედება, არ ახასიათებს სისტემური ანტიბაქტერიული აქტივობა, არ იწვევს ზოგად ტოქსიკურ მოვლენებს. გამოიყოფა ფეკალურ მასებთან ერთად. პრეპარატი გავლენას არ ახდენს სისხლის კლინიკური და ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე.

#### ფარმაცევტული დახასიათება

ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები: ყვითელი ფერის სუსპენზია ბანანის სუნით.

ვარგისობის ვადა: 2 წელი

შენახვის პირობები: ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ და სინათლისაგან დაცულ ადგილზე არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე. არ გაყინოთ.

სტანდარტული შეფუთვა: 90 მლ პოლიმერულ ფლაკონებში, დალუქული საცობებით და პირველი გახსნის კონტროლის თავსახურებით. თითო ფლაკონი ინსტრუქციასთან ერთად განთავსებულია მუყაოს ყუთში. ყუთში დამატებით თავსდება კოვზი-დოზატორი ან საზომი ჭიქა. გაცემის რეჟიმი: ფარმაცევტული პროდუქტის II ჯგუფი (გამოიყენება ექიმის დანიშნულებით)

მწარმოებელი

ღსს „ტერნოფარმი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიას ქ. 4

